სამეცნიერო კვლევის ეთიკის გზამკვლევი

სამეცნიერო კვლევის ეთიკა (შემდგომ - კვლევის ეთიკა) კვლევის სისტემისა და მისი შედეგების სანდოობის შენარჩუნების ძირითად მექანიზმს წარმოადგენს. კვლევის ეთიკა მოიცავს კვლევის პრინციპებს და კვლევითი ქცევის სათანადო კრიტერიუმებს, რაც განსაზღვრავს კვლევის და მისი შედეგების ხარისხის, სანდოობის და გავლენის ზრდას (1).

შესაბამისად, უპირობოდ მნიშვნელოვანია, მკვლევარი ფლობდეს სათანადო ცოდნას, მეთოდოლოგიას და ეთიკის პრინციპებს. კვლევის ეთიკის ფუნდამენტური საკითხების გაუთვალისწინებლობა საფრთხეს უქმნის არამხოლოდ მკვლევარის პროფესიულ პასუხისმგებლობას, არამედ არსებითად აზიანებს კვლევის პროცესს, რაც, საბოლოოდ, ნეგატიურად აისახება საკუთრივ მკვლევარზე, კვლევაში მონაწილე სუბიექტებზე, გარემოსა და საზოგადოებაზე.

კვლევის ეთიკა ეფუძნება კვლევის კეთილსინდისიერების ფუნდამენტურ პრინციპებს, რაც გულისხმობს:

- სანდოობას: კვლევის ხარისხის უზრუნველყოფისას აისახება კვლევის დიზაინში, მეთოდოლოგიაში, ანალიზსა და რესურსების გამოყენებაში;
- პატიოსნებას: გამჭვირვალეობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა კვლევის შემუშავების, ჩატარების, განხილვის, ანგარიშგებისა და შესაბამისი კომუნიკაციის დროს;
- პატივისცემას კოლეგების, კვლევის მონაწილეებისა თუ სუბიექტების, საზოგადოების, ეკოსისტემის, კულტურული მემკვიდრეობისა და გარემოს მიმართ;
- ანგარიშვალდებულებას კვლევის ინიცირების, დაგეგმვის, მართვის, ზედამხედველობის, მენტორობისა და საზოგადოებაზე გავლენის კონტექსტში;

კვლევის ეთიკა დარღვევის ყველაზე გავრცელებული ფორმებია:

- ❖ ფაბრიკაცია - მონაცემების ან შედეგების გადაკეთება და წარმოჩენა, როგორც ავთენტურის;
- ❖ ფალსიფიკაცია - მანიპულირება კვლევის მასალებით, მოწყობილობებით, ფოტოებით ან პროცესებით, ან/და მონაცემებისა თუ შედეგების არარგუმენტირებული შეცვლა, გამოტოვება ან წაშლა;
- ❖ პლაგიარიზმი - სხვა ავტორთა ნაშრომების ან იდეების გამოყენება, პირველწყაროს სათანადოდ მითითების გარეშე.

არსებობს კვლევის ეთიკის დარღვევის სხვა გამოვლინებებიც, რომელიც, ასევე, აყენებს რეპუტაციულ ზიანს კვლევის პროცესს და მკვლევართა კეთილსინდისიერებას. წარმოგიდგენთ ზოგიერთ მათგანს:

- ✓ დანაწევრებული პუბლიკაციები - ე.წ. სალიამის პუბლიკაციები, რომლის მიზანია მკვლევარის მიერ პუბლიკაციათა რაოდენობის და, შესაბამისად, საკუთარი ციტირებების რაოდენობის ხელოვნური ზრდა.
- ✓ სტატიის მიღების და/ან რეცენზირების პროცესში სხვადასხვა აქტივობა, მაგალითად:

- ციტირების მანიპულაცია, ანუ იძულებითი ციტირება: გამომცემელი, ჟურნალის რედაქცია ან რეცენზენტი სთავაზობს ავტორს, მოახდინოს მისი სტატიების ციტირება;
- კონფიდენციალობის დარღვევა: რეცენზირების პროცესში მყოფი სტატიიდან, ანუ მის გამოქვეყნებამდე იდეების, მონაცემების, ტექსტის გამოყენება საკუთარი ან პროფესიული მიზნისთვის;
- რეცენზენტის მიერ სტატიის ფრაგმენტების ჩართვა საკუთარ პუბლიკაციაში;
- ინტერესთა კონფლიქტის დარღვევა: საგრანტო კონკურსში კონკურენტის სტატიის ხელოვნურად დაწუნება, ან მისი კოლაბორატორის სტატის ხელოვნურად დადებითად შეფასება, სხვ.;
- საბოტაჟი ან დაყოვნება: რეცენზირების ხელოვნურად დაყოვნება საკუთარი სტატიის გამოქვეყნებამდე;

- ტენდენციური რეცენზია: პერსონალური მახასიათებლების და აფილირებული ინსტიტუციის უპირატესი გათვალისწინება, სტატიის სამეცნიერო მნიშვნელობასთან შედარებით;
- არაპროფესიური ლექსიკა: რეცენზიაში უცენზური, შეურაცხმყოფელი ან არაეთიკური სიტყვების გამოყენება;
- რეცენზირების „კარტელები“ - „ციტირების კარტელში“ მონაწილეობა: კოორდინირებული ჯგუფის მიერ, სისტემატურად ერთმანეთის სტატიების გამიზნული რეკომენდება ხელოვნურად, იმპაქტ- მეტრიკის გაზრდის მიზნით.

ავტორთა მხრიდან სამეცნიერო ეთიკის დარღვევის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს თვითციტირება, ანუ ციტირების მანიპულაცია. თვითციტირება გულისხმობს ავტორის მიერ საკუთარი ნაშრომების ციტირებას ახალ სამეცნიერო ნაშრომ(ებ)ში, რაც, თავისთავად, ახსნადი და გასაგები ფენომენია, მით უფრო, როდესაც მკვლევარი კონკრეტული თემატური ან მეთოდოლოგიური მიმართულებით მუშაობს და ნაშრომთა ციკლი ამ საკითხ(ებ)ს ეძღვნება.
ამასთანავე, თვითციტირების შეფასების ჰომოგენური კრიტერიუმები არ არსებობს, ანუ იგი არ ფასდება არც დადებითად, არც უარყოფითად; მისი შეფასება მნიშვნელოვნად განისაზღვრება პუბლიკაციის შინაარსით, დარგით და პროპორციული მაჩვენებლით.
თვითციტირება კვლევის ეთიკის დარღვევად არ ფასდება, თუ:
- კვლევები წარმოადგენს ერთი სამეცნიერო ჰიპოთეზის, ან პრობლემის კონტინუუმს;
- თვითციტირების მაჩვენებელი 10-20%-ია;
- ავტორის ნაშრომები ციტირებულია სხვა მკვლევარების მიერაც.

თვითციტირება ბადებს შეკითხვებს, თუ:
- ავტორი ახდენს საკუთარი სამეცნიერო რეიტინგის (მაგალითად, h-ინდექსის) ხელოვნურად გაზრდას;
- თვითციტირების წილი აღემატება 20-30%-ს.
- თვითციტირება, კვლევის შინაარსის თვალსაზრისით, აუცილებლობას არ წარმოადგენს.
ყოველი ასეთი შემთხვევა განისაზღვრება, როგორც ეთიკურად საეჭვო, ან არაკეთილსინდისიერი ქმედება.

ისეთი სანდო სამეცნიერო პლატფორმები, როგორიცაა Scopus ან Web of Science თვითციტირების შემცირების მიზნით თვითციტირებების მონაცემებს ცალკე გამოყოფენ, ინდექსების გამოთვლისას კი ხშირად ითვალისწინებენ მეცნიერის რეიტინგს თვითციტირების გარეშე. მაღალი და საშუალო იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალები აწესებენ თვითციტირების საკუთარ დასაშვებ ზღვარს, ასევე, ქმნიან სპეციალური კომისიებს, რომელნიც ხშირად კონკრეტული მკვლევარის თვითციტირების შესაფასებლად კომპეტენტურ ექსპერტთა მოსაზრებებს ეყრდობიან.

თვითციტირების არასათანადოდ გამოყენებასთან დაკავშირებით ინფორმაციის გავრცელება მისი აღმოფხვრის მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს; აუცილებელია, მკაფიოდ განისაზღვროს და შეფასდეს, როდისაა თვითციტირება მისაღები და როდის წარმოადგენს ის სამეცნიერო და აკადემიური არაკეთილსინდისიერების გამოვლინებას.

სამეცნიერო ეთიკის დარღვევის განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენს თანამშრომლობა „მტაცებელ“ ჟურნალებსა და „მტაცებელ“ კონფერენციებთან.
უკანასკნელ წლებში, მზარდი რაოდენობის და მათი „მომხმარებელი“ მეცნიერების სიჭარბის კვალობაზე, „მტაცებელი ჟურნალები და კონფერენციები" მეტ აქტუალობას იძენს. ნებისმიერი

„მტაცებელი“ აქტივობა წარმოადგენს სამეცნიერო ეთიკის დარღვევას და რეპუტაციულ ზიანს აყენებს არამხოლოდ მკვლევარს ან მკვლევართა ჯგუფს, არამედ მთელ ინსტიტუციას.
„მტაცებელი“ ჟურნალებიდან და „მტაცებელი“ კონფერენციების ფარგლებში გამოქვეყნებულ ნაშრომთა კრებულებიდან ციტირებული ის სტატიები, რომელიც დაწერილია ამა თუ იმ უნივერსიტეტთან/დაწესებულებასთან აფილირებული აკადემიური პირის მიერ უარყოფითად აისახება უნივერსიტეტის რენომესა და რეიტინგზე. შესაბამისად, „მტაცებელი“ აქტივობა ხდება არამხოლოდ კონკრეტული მკვლევარის პრობლემა, არამედ იგი კოლეგიალური რეპუტაციული ზიანის მომტანია ინსტიტუციისათვის. სადღეისოდ „მტაცებელი“ აქტივობა გლობალურ პრობლემას და აკადემიური ინსტიტუციებისათვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. შესაბამისად, ინსტიტუციების აკადემიური და ადმინისტრაციული რესურსი მიმართული უნდა იყოს მათი აღმოფხვრისა და, უფრო მეტად, პრევენციული ზომების გატარებისკენ.

„მტაცებელი“ ჟურნალები და კონფერენციები ძალიან დიდ ზარალს და ზიანს აყენებს აკადემიურ წრეებს, ახდენს რა სამეცნიერო რესურსის გამოყენებას დაბალი ხარისხის კვლევითი აქტივობის მიზნით და ამით ჩრდილს აყენებს ავტორის რეპუტაციას, რომელიც ფუჭად ხარჯავს დროს და ფინანსურ რესურს და ამით ხელს უშლის საკუთარ აკადემიურ წინსვლას. შედეგად, სამეცნიერო რეპუტაცია დგება ეჭვქვეშ.
„მტაცებელი“ ჟურნალების და კონფერენციების ორგანიზატორები ერთგვარ ზეწოლას ახდენენ მეცნიერებზე, თუმცა, მათი ძირითადი სამიზნე დამწყები მეცნიერები არიან.
"მტაცებელი" ჟურნალების მიერ გამოყენებული ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი ჰონორარის სანაცვლოდ პუბლიკაციის სწრაფი გამოქვეყნების შეთავაზება წარმოადგენს, რისი შედეგიცაა არამხოლოდ არაზუსტი სამეცნიერო ინფორმაციის გავრცელება, არამედ მომავალი კვლევების არასწორად წარმართვაც.

ძირითადად, რა ახასიათებს „მტაცებელ“ კონფერენციებს და ჟურნალებს?

- ცრუ ინფორმაციის გავრცელება: რეცენზირების არარსებობის გამო ადგილი აქვს არაზუსტი, მტკიცებულებებს მოკლებული სამეცნიერო ინფორმაციის გავრცელებას, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს აკადემიური და სამეცნიერო წრეები.
- სამეცნიერო ლიტერატურის გაყალბება: დაბალი ხარისხის შინაარსის კვლევა აკნინებს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ კვლევებს, რაც, შესაბამისად, იწვევს სარწმუნო კვლევების მონაცემების დაჩრდილვას და, საბოლოო ჯამში, აბრკოლებს მეცნიერების შესაბამისი დარგის განვითარებას.
- ანტირეპუტაციულობა მკვლევარებისათვის: პუბლიკაცია „მტაცებელი“ ჟურნალებში და ჩართულობა „მტაცებელ “კონფერენციებში აზიანებს არამხოლოს მკვლევარის რეპუტაციას, არამედ ეჭვქვეშ აყენებს ავტორების ინსტიტუციების და დამფინანსებელი ფონდების იმიჯსაც.

აქედან გამომდინარე, „მტაცებელ“ ჟურნალებს და კონფერენციებს მკვლევარისთვის მოაქვს:

- ფინანსური ზარალი: ავტორები იხდიან მნიშვნელოვან თანხას იმ სერვისში, რომელსაც რეალურად ვერ იღებენ, მეტიც, შესაძლოა დასჭირდეთ ფინანსური რესურსის გაღება სტატიის „გაუქმებისათვის;“
- კარიერის სტაგნაცია: „მტაცებელი“ აქტივობა ქმნის პრობლემებს არამხოლოდ სამეცნიერო კარიერის თვალსაზრისით, ასევე დამფინანსებელი ფონდების გამოყოფისა და შესაბამისი ინსტიტუციებიდან მხარდაჭერის მხრივაც.
- “ფუჭი მცდელობა”: კვლევის დისემინაცია არ ხდება სათანადოდ, ასევე ადგილი აქვს პრობლემებს მისი ინდექსირების და ხილვადობის მხრივ, რაც კვლევას ხდის მიუწვდომელს და არაეფექტიანს.
- ეთიკური დილემა: მკვლევართა დიდ ნაწილს ექმნება პრობლემა სტატიის რეტრაქციის

(„ამოღების“) აღნიშნული ჟურნალიდან და ასევე უკვე სხვა ჟურნალში სტატიის გამოქვეყნების, რადგან „მტაცებელი“ გამომცემელი „მძევლად“ იტოვებს აღნიშნულ სტატიას.

<u>„მტაცებელი“ ჟურნალების საიდენტიფიკაციო ნიშნებია:</u>

- „მტაცებელი“ ჟურნალის სახელწოდებაში ხშირადაა ბუნდოვანი და/ან ყოვლისმომცველი სიტყვები, როგორიცაა „მსოფლიო“, „გლობალური“, „საერთაშორისო“ და ა.შ.
- „მტაცებელი“ ჟურნალი ან/და გამომცემელი ხშირად ხვდება Beall-ის სიაში, რომელიც მოიცავს საეჭვო, მათ შორის - „მტაცებელ“ ჟურნალთა ნუსხას (https://beallslist.net/);
- „მტაცებელი“ ჟურნალი მიმართვისას იყენებს განსაკუთრებით აღმატებულ ფორმებს, როგორიცაა „გამორჩეულო“, „განსაკუთრებულო“, „ექსპერტო“ და ა.შ.;
- „მტაცებელი“ ჟურნალი მიმართვის დროს ხშირად აღნიშნავს, რომ კარგად აქვს შესწავლილი მკვლევარის/პოტენციური ავტორის მანამდე გამოქვეყნებული პუბლიკაციები;
- „მტაცებელი“ ჟურნალი ხშირად ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კარგად აქვს შესწავლილი მკვლევარის/პოტენციური ავტორის ის პუბლიკაციებიც კი, რომელთა შინაარსი სცილდება აღნიშნული ჟურნალის სფეროს;
- „მტაცებელი“ ჟურნალი მიმართვისას ხშირად იყენებს არასტრუქტურირებულ წინადადებებს, ხშირია გრამატიკულ შეცდომებიც;
- „მტაცებელი“ ჟურნალის პუბლიკაციების სპექტრი მოიცავს განზოგადოებული შინაარსის ნაშრომებს (კვლევის ძალზე ფართო და მრავალფეროვან სფეროს);
- „მტაცებელ“ ჟურნალში ხშირად აქცენტირდება ჟურნალის „გამოცემის“ გეოგრაფიულ ლოკაცია;
- ყურადღება უნდა მიექცეს:
  - არის თუ არა ხელმისაწვდომი ჟურნალის გამომცემლის სრულყოფილი, სარწმუნო საკონტაქტო ინფორმაცია, მათ შორის - მისამართი, ჟურნალის ვებგვერდი;
  - არის თუ არა დეტალურად აღწერილი პუბლიკაციის გამოქვეყნების წესები;
  - პუბლიკაციის გამოქვეყნების საფასურს;
- მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, სთავაზობენ თუ არა ავტორს სარედაქციო საბჭოს წევრობას;
- „მტაცებელ“ ჟურნალებს თითქმის არასდროს აქვთ მკვეთრად ჩამოყალიბებული სარეცენზიო პოლიტიკა;
- გასათვალისწინებელია, რა ტიპის და ხარისხის იმპაქტ-ფაქტორი აქვს ჟურნალს;
- ყურადღება უნდა მიექცეს, არის თუ არა ჟურნალი ისეთი ინდუსტრიული ასოციაციის წევრი, როგორიცაა Directory of Open Access Journals (www.doaj.org), ან Open Access Scholarly Publishers Association (www.oaspa.org).
- გასათვალისწინებელია, რამდენად თემატურია ჟურნალი პოტენციური ავტორის კვლევის სფეროსთვის;
- „მტაცებელი“ ჟურნალები უმეტეს შემთხვევაში ღია წვდომისაა;
- ყურადღება უნდა მივაქციოთ არის თუ არა მითითებული, რომ სტატია გაივლის რეცენზირებას და რა დროა საჭირო რეცენზირებისთვის.

ძირითადი განსხვავებანი „მტაცებელ“ და რეპუტაციულ სამეცნიერო ჟურნალებს შორის

ინდიკატორი	რეპუტაციული სამეცნიერო ჟურნალი	„მტაცებელი“ ჟურნალი
საიტის ხარისხი	ლაკონური და აკადემიური	ბევრი მოციმციმე და „ფერადი“ ელემენტი, გრამატიკული შეცდომები

თემატიკა, სპეციალიზაცია	ვიწრო	ფართო
პუბლიკაციის ვადა	რამდენიმე თვე	რამდენიმე დღე ან კვირა
რეცენზირების/განხილვის ხანგრძლივობა	რამდენიმე თვე	რამდენიმე დღე
სარედაქციო საბჭოს წევრთა რეკვიზიტები	მითითებულია ვინაობა, აკადემიური და სამეცნიერო პოზიცია	მითითებულია მხოლოდ ვინაობა
მონაცემთა ბაზა და მეტრიკები	ძირითადი მონაცემები ყოველთვის არაა პირველ გვერდზე	არასწორი მეტრიკები და მონაცემები პირველ გვერდზე
სტატიის გაფორმების პირობები და წესები	მოცემულია დეტალური რეკომენდაციები	დეტალური რეკომენდაციები არ არსებობს
არქივი და მასთან წვდომა	არქივთან წვდომა შესაძლებელია	არ არსებობს სრულყოფილი არქივი
თანხის გადახდა	<u>რეცენზირების შემდეგ</u>	<u>მყისიერად</u>

„მტაცებელი“ ჟურნალი მიერ პუბლიკაციის შემოთავაზების მაგალითი

As a respected professional in the field, we would be honoured to receive a contribution from you for the upcoming issue. We welcome submissions of all article types and your expertise would make a significant impact on our readership.

In recognition of your work, we are pleased to offer you a special waiver and please note that only a minimal publication fee will be applicable for your submission.

Should you have any queries, please do not hesitate to contact us.

Warm regards,

ჩვენთვის დიდი პატივია, მივიღოთ თქვენგან, როგორც დარგის გამორჩეული პროფესიონალისგან, პუბლიკაცია მომავალ ნომერში. ჩვენ მზად ვართ, მივიღოთ პუბლიკაციის ყველა ტიპი და თქვენი გამოცდილება მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ჩვენი ჟურნალის მკითხველზე.
თქვენი ნაშრომების აღიარების საფუძველზე, ჩვენთვის დიდი პატივია, შემოგთავაზოთ განსაკუთრებული წინადადება და თქვენი პუბლიკაციისთვის გავითვალისწინოთ მინიმალური თანხა.

ნებისმიერი კითხვის შემთხვევაში დაგვიკავშირდით,

საუკეთესო სურვილებით,

<u>„მტაცებელი“ კონფერენციების საიდენტიფიკაციო ნიშნები</u>

ვებგვერდის და საკომუნიკაციო პლატფორმების „წითელი დროშები“:

- ხშირია აგრესიული ტიპის გზავნილები, რომელიც უპირატესად ხვდება ელექტრონული ფოსტის spam-ის ფოლდერში; გზავნილებში მითითებულია მოწვევა სპიკერის რანგში, ხშირად შეიცავს გრამატიკულ შეცდომებს, ხშირად მოდის არაინსტიტუციურ ელექტრონულ ფოსტაზე;
- ყურადსაღებია თხოვნის გადაჭარბებული ტონი, რათა ადრესატი დარწმუნდეს კონფერენციის სარგებელის შესახებ;
- კონფერენციის მიზანი ბუნდოვანია, ხოლო თემატიკა - მრავლისმომცველი. მაგალითად, კონფერენციის დასახელება - „მეცნიერების და ტექნოლოგიის გლობალური კონფერენცია“, სადაც კონფერენციის ზუსტი თემატიკა არ ჩანს.
- კონფერენციის ვებგვერდი დაბალი ხარისხისაა: არაპროფესიული დიზაინი, გაურკვეველი ფოტოები, ან არარსებული საკონტაქტო დეტალები;
- კონფერენციის განაცხადში აქცენტირებულია ტურისტული საკითხები, ასევე, ის, რომ კონფერენცია კომფორტულია მოგზაურობის და ლოკაციის თვალსაზრისით;

ორგანიზაციის და შინაარსის „წითელი დროშები“:

- კონფერენციის ორგანიზატორები და საორგანიზაციო კომიტეტის წევრები უცნობია, , მათი აფილიაციები არ არის ნათელი;
- ორგანიზატორი ატარებს წელიწადში ასობით კონფერენციას. მაგალითად, ამ ტიპის ორგანიზატორებს მიეკუთვნება კომპანიები OMICS International და World Academy of Sciences, Engineering and Technology (WASET). საგულისხმოა, რომ WASET-ის მიერ წლის მანძილზე ხდება ასობით კონფერენციის რეკლამირება.მაგალითად, 2018 წელს WASET-ის მიერ ჩატარდა მსგავსი თემატიკის და სახელწოდების 49 844 კონფერენცია. დიდი ნაწილი ფიზიკურად არც კი ტარდება და წარმოადგენს მხოლოდ „ქაღალდზე“ დაწერილ ფიქტიურ ღონისძიებას (2).
- კონფერენციის აფილიაციები ყალბი და/ან არაზუსტია; მითითებულია ისეთი უნივერსიტეტების ან ორგანიზატორების სპონსორობა ან პარტნიორობა, რომელიც რეალურად არ არიან კონფერენციის მხარდაჭერნი;
- კონფერენციის მასალები არ რეცენზირდება, არ არსებობს აბსტრაქტებისა და მოხსენებების შერჩევის და რეცენზირების პროცედურები და კრიტერიუმები;
- ორგანიზატორი იძლევა გარანტიას იმის შესახებ, რომ ნაშრომები დაიბეჭდება რეპუტაციულ ჟურნალში;
- ხშირად აბსტრაქტების მიღების შესახებ პასუხი იგზავნება უმოკლეს დროში;
- კონფერენციის გადასახადი მაღალია, ხოლო ხარისხი - დაბალი, ანუ სახეზეა გადაჭარბებული სარეგისტრაციო თანხა მწირი აკადემიური უკუკავშირის პირობებში;
- კონფერენციის განაცხადის განთავსებიდან მის ჩატარებამდე პერიოდულად იცვლება დედლაინები და/ან ჩატარების ადგილიც კი;

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, „მტაცებელი“ კონფერენციების იდენტიფიცირება იოლი არ არის. ამისათვის მნიშვნელოვანია:

- კონსულტაცია კოლეგებთან კონკრეტული კონფერენციის შესახებ მათი ინფორმირებულობის თვალსაზრისით;

- კონფერენციის აფილიაციების (სპონსორები, საორგანიზაციო და სამეცნიერო კომიტეტები) შემოწმება მასპინძელი ორგანიზაციის ოფიციალურ ვებგვერდზე;
- კონფერენციის ორგანიზატორების შეფასება - მიმოხილვების ან უკუკავშირის შესწავლა ორგანიზატორების შესახებ;
- უკვე არსებული კავშირების შეფასება - ავტორიტეტული აკადემიური საზოგადოებების, გამომცემლების და სხვ. მხარდაჭერის შესწავლა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

“მტაცებელ” კონფერენციაზე მოწვევის მაგალითი

Dear Dr.

Greetings of the day!

On behalf of the Organizing Committee of the
am pleased to extend a personal invitation for you to join us as a **Speaker** at our upcoming meeting on **August 6–7, 2026, in Singapore.**

Your work and contributions to the **public health** community have been truly inspiring, and we believe your participation would add significant value to the discussions at

The conference will bring together leading researchers and professionals from around the world to exchange ideas, present innovations, and explore future directions in the field of **public health**.

As an invited speaker, you may register at our reduced **speaker registration fee of $899,** which includes:

- Full conference registration
- Two nights of accommodation at the conference venue

ძვირფასო---,
მოგესალმებით!

საორგანიზაციო კომიტეტის სახელით, მერგო პატივი მოგიწვიოთ მომხსენებლის რანგში კონფერენციაზე , რომელიც ჩატარდება 6-7 აგვისტოს , 2026 წელს, სინგაპურში.

თქვენი ნაშრომები და წვლილი საზოგადოებრივი ჯანდაცვის განვითარებაში უდავოდ დიდია და ჩვენ გვწამს, რომ თქვენი მონაწილეობა მეტ მნიშვნელობას შესძენს კონფერენციის ფარგლებში გამართულ დისკუსიებს.

კონფერენციის ფარგლებში მოხდება მსოფლიოს წამყვანი მკვლევარების და დარგის პროფესიონალების თავმოყრა, რათა მოხდეს იდეების გაცვლა, ინოვაციების წარდგენა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს მომავალი მიმართულებების განსაზღვრა.

როგორც მოწვეული სპიკერი, თქვენ უნდა დარეგისტრირდეთ სპიკერთა რეგისტრაციის

შემცირებული გადასახადით, რომელიც შეადგენს 899 აშშ დოლარს და მოიცავს:

- კონფერენციაზე სრულ რეგისტრაციას
  ორი ღამით სასტუმროში განთავსებას

სამეცნიერო ეთიკის დარღვევის პრევენციის და მასთან გამკლავების ძირითადი პოსტულატები

კვლევის ეთიკის დარღვევის წინააღმდეგ მიმართული ეროვნული და ინსტიტუციური სახელმძღვანელო მითითებები ამ ეტაპისათვის შეჯერებული არ არის.

კვლევის ეთიკის დარღვევაში ეჭვმიტანილი მკვლევარი, ეჭვის დამტკიცებამდე, ითვლება უდანაშაულოდ.

კვლევის ეთიკის დარღვევის დადგენის და შეფასების პროცესი უნდა წარიმართოს სამართლიანად, სიზუსტის და ობიექტურობისა ზედმიწევნით დაცვით.

კვლევის ეთიკის დარღვევების საწინააღმდეგო პოლიტიკა და პრინციპები საჯაროდ ცნობილი, ხელმისაწვდომი, გამჭვირვალე და ერთგვაროვნია.

კვლევის ეთიკის დარღვევაში შემჩნეულ პირებს სრულად მიეწოდებათ შესაბამისი ინფორმაცია და, ამასთანავე, უზრუნველყოფილია მათი შესაძლებლობა სამართლიანი პროცესის ფორმატში მტკიცებულებებზე კონტრარგუმენტის წარმოსადგენად.

კვლევის ეთიკის დარღვევასთან დაკავშირებული პროცედურა ითვალისწინებს კონკრეტული მკვლევარის და ინსტიტუციის პასუხისმგებლობას აღნიშნულზე, თუ ამ უკანასკნელს წვლილი მიუძღვის კვლევის ეთიკის დარღვევაში.

მკვლევართა მიმართ, კვლევის ეთიკის დარღვევის ყველა გამოვლინების დადასტურების შემთხვევაში, მიიღება დარღვევის სიმძიმის პროპორციული ზომები; კვლევის ეთიკის დარღვევის ბრალდების გაქარწყლების შემთხვევაში კი მკვლევართა მიმართ მიიღება შესაბამისი აღმდგენი/საკომპენსაციო ზომები (1).

ნებისმიერ ისეთ შემთხვევაში, სადაც საჭირო იქნება მკვლევართა კონსულტირება „მტაცებელი“ კონფერენციების და ჟურნალების იდენტიფიკაციისათვის, გთხოვთ მიმართოთ აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს ივა კუგოტს. თსსუ-ის ადმინისტრაციული კორპუსი, მე-5 სართული, ოთახი 516.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კვლევის კეთილსინდისიერების ევროპული ქცევის კოდექსი, რედაქტირებული გამოცემა 2023.
2. List of WASET conferences for 2018. WASET Watch. 12 October 2017. Retrieved 2018-07-30.